შპს ენთები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 5
1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 6
3. მსს ფასს-ზე გადასვლა 6
4. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 7
5. ფული და ფულის ექვივალენტები 12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 12
7. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები 12
8. ძირითადი საშუალებები 13
9. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი 13
10. სესხები 14
11. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან 14
12. ხელფასები და სხვა სარგებელი 14
13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 14
14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) 15
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 15
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 16

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	470,418	19,137	41,168
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	402,738	298,789	135,002
გადახდილი ავანსები		72,917	23,687	7,147
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	7	424,827	712,430	501,503
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,370,900**	**1,054,043**	**684,820**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,906,647	1,568,108	344,182
არამატერიალური აქტივები		85,665	74,499	2,285
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,992,312**	**1,642,607**	**346,467**
სულ აქტივები		**3,363,212**	**2,696,650**	**1,031,287**
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		100,564	20,920	2,152
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	9	163,959	44,054	34,808
სესხები	10	273,583	167,551	142,395
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		93,178	67,387	31,719
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**631,284**	**299,912**	**211,074**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	2,215,222	2,020,234	591,120
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,215,222**	**2,020,234**	**591,120**
სულ ვალდებულებები		**2,846,506**	**2,320,146**	**802,194**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		759	759	759
გაუნაწილებელი მოგება		446,468	328,892	218,800
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		**447,227**	**329,651**	**219,559**
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		69,479	46,853	9,534
სულ საკუთარი კაპიტალი		**516,706**	**376,504**	**229,093**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**3,363,212**	**2,696,650**	**1,031,287**

დირექტორი დიმიტრი ბასილაშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	11	3,904,489	2,418,100
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(2,634,179)	(1,659,606)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(659,786)	(371,929)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	14	176,156	(6,687)
მოგება პროცენტამდე და საკურსო სხვაობამდე		**786,680**	**379,878**
საპროცენტო ხარჯი	10	(174,611)	(44,074)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან		(100,552)	6,654
მოგება დაბეგვრამდე		**511,517**	**342,458**
მოგების გადასახადი		(18,947)	(11,257)
წმინდა მოგება		**492,570**	**331,201**
წმინდა მოგება, განკუთვნილი:			
– მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის		*224,944*	*173,882*
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		*267,626*	*157,319*

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი	არამაკონტრო-ლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	**759**	**218,800**	**219,559**	**9,534**	**229,093**
წმინდა მოგება	-	173,882	173,882	157,319	331,201
დივიდენდის გატანა	-	(63,790)	(63,790)	(120,000)	(183,790)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	**759**	**328,892**	**329,651**	**46,853**	**376,504**
წმინდა მოგება	-	224,944	224,944	267,626	492,570
დივიდენდის გატანა	-	(107,368)	(107,368)	(245,000)	(352,368)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	**759**	**446,468**	**447,227**	**69,479**	**516,706**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ენთები არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2015 წლის 10 ივნისს. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძე ქუჩა N26ა, კომერციული ფართი N1, სართული 1, სადარბაზო I-II. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 406148734. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

დიმიტრი ბასილაშვილი, 01027046085 - 33.34%;

ნიკა წიკლაური, 01005019083 - 33.33%;

ნიკოლოზ მჭედლიშვილი, 01019048873 - 33.33%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუღალტრული, საგადასახადო და სხვა ფინანსური აუთსორსინგული მომსახურება. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია დიმიტრი ბასილაშვილი, 01027046085.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ საწარმოს:

შვილობილი საწარმო	საიდენტიფიკაციო ნომერი	31-დეკ-2023 წილის ფლობა	დაფუძნების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს ფიბი ფაინანს	404569800	50%	12/12/2018	ბუღალტრული მომსახურება

შვილობილი კომპანიის პარტნიორებს შორის შეთანხმების თანახმად, შპს „ფიბი სერვისის“ პასუხისმგებელია შპს „ფიბი ფაინანს“-ისთვის კლიენტების მოზიდვაზე, ხოლო შპს „ენთები“ წარმართავს მის საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ენთები“ და შპს „ფიბი სერვისის“ ფლობენ თანაბარ წილებს (50%-50%) შპს „ფიბი ფაინანს“-ში, შპს „ენთები“-მ უნდა დაიკონსოლიდიროს მისი საქმიანობის შედეგებს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფმა გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8
შენობა	50-100

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. ჯგუფის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ჯგუფში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

ჯგუფი ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ჯგუფი ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას ან ზარალს ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. ჯგუფი ამ სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

4.3 არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. ჯგუფის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა არის 3-10 წელი.

შეუზღუდავი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება არ ხდება, თუმცა ის გაუფასურების ოდენობის დასადგენად ფასდება ყოველწლიურად.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. იმ თარიღში, როდესაც ხდება კონტროლის მიღება აქტივის მიმღების მიერ) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალში.

4.4 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირებულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები“ თუ მათი საბალანსო ღირებულება იქნება ანაზღაურებული ძირითადად გაყიდვის გზით და არა უწყვეტი გამოყენების გზით. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაუყოვნებლად გასაყიდად მათ მიმდინარე მდგომარეობაში და მათი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს კლასიფიკაციის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, მისი გაყიდვის დასრულებისთვის საჭირო პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს სამართლებრივი ან მარეგულირებელი საკითხების, საბაზრო პირობების ან გარიგებაში სირთულეების არსებობის გამო. გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები ფასდება მათ საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესის მიხედვით.

თუ გასაყიდად გამიზნული აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, მაშინ აქტივები ფასდება მათი გამოყენების ღირებულებით, რაც წარმოადგენს სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია აქტივების უწყვეტი გამოყენებით და მათი გაყიდვით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

გრძელვადიანი აქტივების გამოყენების ღირებულების განსაზღვრისთვის, ჯგუფი აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებსაც წარმოქმნის აქტივები და ადისკონტირებს აღნიშნულ ფულად ნაკადებს მათ მიმდინარე ღირებულებაზე შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულის დროითი ღირებულების ბაზრის მიმდინარე შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

თუ აქტივების გამოყენების ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის, რაც აქტივის სამართლიან ღირებულებასა (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს წარმოადგენს.

4.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.6 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4.7 შემოსავალი

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ჯგუფის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.8 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ ჯგუფიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს მარკეტინგის, ოფისის, კომუნალურ და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფს ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2023 წლის დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	458,267	19,137
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12,151	-
სულ	**470,418**	**19,137**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023 წლის დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩაშლა შემდეგია:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-12-2023	31-12-2022
სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	371,346	275,252
სავაჭრო მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	31,392	22,278
სხვა მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	-	1,259
სულ	**402,738**	**298,789**

7. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

2023 და 2022 წლებისთვის გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**501,503**	**-**	**501,503**
დამატება	-	210,927	210,927
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**501,503**	**210,927**	**712,430**
დამატება	-	46,732	46,732
რეალიზაცია	(334,335)	-	(334,335)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**167,168**	**257,659**	**424,827**

8. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	**46,154**	**29,178**	**297,264**	**-**	**372,596**
დამატება	65,112	7,313	-	1,178,574	1,250,999
რეალიზაცია	(3,119)	-	-	-	(3,119)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	**108,147**	**36,491**	**297,264**	**1,178,574**	**1,620,476**
დამატება	38,569	180,320	49,651	417,638	686,178
რეალიზაცია	(6,031)	(36,139)	(297,264)	-	(339,434)
გადატანა	-	-	1,596,212	(1,596,212)	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	**140,685**	**180,672**	**1,645,863**	**-**	**1,967,220**
აკუმულირებული ცვეთა					
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	**16,696**	**7,128**	**4,590**	**-**	**28,414**
ცვეთა	16,594	5,150	2,973	-	24,717
რეალიზაცია	(763)	-	-	-	(763)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	**32,527**	**12,278**	**7,563**	**-**	**52,368**
ცვეთა	27,219	7,498	3,849	-	38,566
რეალიზაცია	(3,076)	(17,245)	(10,040)	-	(30,361)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	**56,670**	**2,531**	**1,372**	**-**	**60,573**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	**75,620**	**24,213**	**289,701**	**1,178,574**	**1,568,108**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	**84,015**	**178,141**	**1,644,491**	**-**	**1,906,647**

9. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

2023 წლის დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასებისა და სხვა სარგებელის ჩაშლა შემდეგია:

გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-2023	31-12-2022
გადასახდელი ხელფასები	150,582	32,617
გადასახდელი სხვა სარგებელი	13,377	11,437
სულ	**163,959**	**44,054**

10. სესხები

2023 წლისა და 2022 წლის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არსებული სესხები დენომინირებულია ევროში. 2023 წელს სესხებზე საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 7.5%-ს (2022 წელს: 6.5%). 2023 წელს სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 174,611 ლარი (2022 წელს: 44,074 ლარი).

11. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საბუღალტრო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. 2023-2022 წლებში ჯგუფს შემოსავლები მიღებული აქვს საგადასახადო და სხვა ფინანსური მომსახურებებიდანაც. ჯგუფის შემოსავლები მოიცავს როგორც მუდმივი კლიენტებისთვის მომსახურების გაწევიდან, ასევე ერთჯერადი პროექტებიდან მიღებულ შემოსავლებს. 2023 წლის განმავლობაში ჯგუფი ყოველთვიურად ემსახურებოდა 650-მდე (2022 წელს: 450-მდე) კლიენტ კომპანიასა და ფიზიკურ პირს.

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
ხელფასის ხარჯი	2,515,673	1,398,212
სხვა სარგებელი	118,506	261,394
სულ	**2,634,179**	**1,659,606**

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2023	2022
მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯები	187,430	126,707
პროგრამული ხარჯი	146,044	64,887
ცვეთა და ამორტიზაცია	56,001	27,683
თიმბილდინგის ხარჯები	46,101	35,264
იჯარის ხარჯი	28,457	3,658
კომუნალური ხარჯები	32,582	13,501
საოფისე და საკანცელარიო ხარჯი	14,272	14,590
სწავლების ხარჯები	10,756	11,843
საბანკო ხარჯი	8,492	7,354
სხვა ხარჯები	129,651	66,442
სულ	**659,786**	**371,929**

14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	2023	2022
მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	170,886	-
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	5,270	(6,687)
სულ	**176,156**	**(6,687)**

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 ტრანზაქციები არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან

არამაკონტროლებელი წილის მფლობელთან განხორციელებული ტრანზაქციების ფარგლებში წლის განმავლობაში შემოსავალი და ხარჯი ასეთი იყო:

	2023	2022
შემოსავალი და ხარჯი		
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	22,140	8,310
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(20,094)	(19,089)
	2,046	**(10,779)**

15.2 ტრანზაქციები მშობელი საწარმოს დამფუძნებლებთან

2023 წელს ჯგუფმა მშობელი საწარმოს ერთ-ერთ დამფუძნებელს მიჰყიდა გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 120,000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, რომელიც ჯგუფს ნაყიდი ჰქონდა 2021 წელს 108,000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად.

15.3 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 248,245 ლარი, ხოლო 2022 წელს - 233,015 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წელს, მოცემული ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, ჯგუფმა მშობელი საწარმოს დამფუძნებლებზე გაანაწილა 364,087 ლარის მოგება. აქედან გაცემული დივიდენდი გადასახადების გარეშე შეადგენდა 294,000 ლარს, რომელიც თანაბრად განაწილდა სამივე დამფუძნებელს შორის, დივიდენდის გადასახადი - 15,474 ლარს, ხოლო მოგების გადასახადი - 54,613 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, შესაბამისი ანგარიშგების გამოშვებამდე, გარდა ზემოთ მოცემული საკითხისა, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.